ღვთის შიშის შესახებ

1 ნოემბერი 2020 წელი

ექტენიაში ჩვენ მივმართავთ ღმერთს თხოვნით,,წმინდასა ამის ტაძრისათვის" (ჩვენ ამაზე გასულ ქადაგებებში ვისაუბრეთ) და შემდეგი სიტყვებით მივმართავთ ,,სარწმუნოებითა, სასოებითა და შიშითა ღვთისათა შემავალთა ამას შინა, უფლისა მიმართ ვილოცოთ" სხვაგვარად რომ ვთქვათ, ჩვენ ვლოცულობთ იმათთვის, ვინ წმინდა ეკლესიაში შედის რწმენით, სასოებითა და ღვთის წინაშე შიშით

როგორ ესმის ეკლესიას ,,შიში," რომელიც დაკავშირებულია რწმენასთან და ქრისტიანთა მოწიწებასთან, ტაძარში შემავალთა? ჩვენ გადაჭრით ვთქვათ, რომ ,,უფლის წინაშე შიშს" არანაირი კავშირი არა აქვს შიშთან, რომელსაც ვინმე განიცდის იმ საიდუმლოებაში, როცა აღელვებული ადამიანი თავს ესხმის მას იარაღით(ან ნებისმიერ სხვა გარემოებაში, რომელიც დაკავშირებულია სიტყვა ,,შიშთან"). ღმერთი არ შეიძლება იყოს მიზეზი ასეთი შიშისა, რადგან იგი მგრძნობიარეა, მოწყალეა და სიყვარულით სავსეა.

რომ გავიგოთ რა არის ,,ღვთის შიში" ჭეშმარიტად მოდით მივმართოთ ბიბლიას (ძველი და ახალი აღთქმა).

პირველი და მთავარი მცნება ღმერთისა სინას მთაზე ღაღადებს: ,,უფლის, შენი ღმერთის გეშინოდეს და მას ემსახურებოდე" (მეორე რჯული 6:13). როდესაც მოგვიანებით მოსე ესაუბრებოდა ებრაელ ხალხს, მან უთხრა მათ ,,რომ გეშინოდეს უფლისა (გქონდეს ღრმა რასოება), შენი ღმერთისა... რომელმაც მოიმოქმედა შენთვის დიადი და საშინელი საქმეები, შენი თვალით რომ გაქვს ნანახი. ... იარო მის კვალზე, გიყვარდეს იგი, ემსახურო უფალს, შენს ღმერთს, მთელი შენი გულითა და სულით უფლის, თქვენი ღმერთისა გეშინოდეს, მას ემსახურე, მას მიეწებე, მისი სახელით დაიფიცე" (მეორე რჯული 10:12, 20-21). წმ.პავლე მოციქული აგრეთვე ხაზს უსვამდა ამას: ,,ვჰმსახურებთ სათნოდ ღმერთსა, მოშიშებათა და ღირსებითა" (ებრ. 12:28). იერემია წინასწარმეტყველი (32:40) გვიხსნის, რომ შიში უფლისა - ეს ღვთის მადლია, გთავაზობთ მის სიტყვებს ,,ჩემს შიშს ჩავუნერგავ გულში, რომ არ განმიდგნენ".

ასეთი შიში, როგორც დიდი საჩუქარი, ეძლევა ადამიანს, რომელიც რწმენით მიმართავს უფალს. ეს თავისებური აღქმა და ასახვაა რწმენისა. ეს ღვთის წყალობის შედეგია. ადამიანი, რომლის გულშიც არის ღვთისადმი შიში, ქედს იხრის ღმერთის ძლევამოსილების წინაშე და აღიქვამს თავის სულიერ სიცარიელეს. სწორედ ეს ღრმა თაყვანის ცემა და თრთოლვა (ღვთის წინაშე შიში) სულს მოუწოდებს მიუძღვნას მთელი თავისი არსება ღმერთს, მთელი სულიერი სამყაროს შემქმნელს. როგორ გვარწმუნებს ჩვენ წმინდა სოფრონ ესექიელი, ,,უფლისადმი შიში გვაბრმავებს ჩვენ ღმერთის წინაშე, რომელიც თავს გვიცხადებს. ჩვენ ვთვლით უღირსად ასეთი და სასოებით ვთრთით"

აი რატომ მოიხსენიება ღვთისადმი შიში საღვთო ლიტურგიებსა და საღვთო მსახურებებზე: ,,ღირს გვყვენ ჩვენ გვიყვარდე და გვეშინოდეს შენი მთელი ჩვენი გულით" (მესამე ანტიფონეს საღამოს ლოცვა).

,,მაუწყე მე, უფალო, დაფარულნი საიდუმლოსა სიბრძნისა შენისანი" (ლოცვა სახარების წინ საკითხავი).

,,მოგვმადლე უფალო და ჩვენთან ერთად მლოცველთა... შიშითა და სიყვარულით გმსახურებდეთ შენ."..(მეორე ლოცვა მორწმუნეთა).

,,შიშითა ღვთისა და სარწმუნოებით მოვედით!" (ზიარების წინა ლოცვა).

,, ...განგვამტკიცე ჩვენ შიშითა შენითა" (ზიარების შემდეგ).

ჩემო საყვარელო ძმებო და დებო, ეკლესია ლოცულობს იმათზე, ვინ რწმენით მოდის, სასოებითა და ღვთის შიშით ამავ დროულად ტაძარში ისმის შეხსენება იმაზე, თუ რას უნდა ვგრძნობდეთ ჩვენს გულებში, როცა ეკლესიაში შემოვდივართ და გვწამს ღვთისა. ეკლესია-ეს ჩვეულებრივი ადგილი არაა; ეს ადგილია, მთლიანად ღვთისადმი განკუთვნილი. ძვირფასი სისხლი და ხორცი უფლისა ინახება წმინდა ტახტზე (საკურთხეველზე), და ამიტომ უფალი ღმერთი ჩვენი ყოველთვის იქ ესწრება ის გვიხმობს, ის გვეგებება ჩვენ თავის წმინდა სახლში, თავის ტაძარში. ეს აზრი უნდა დომინირებდეს ჩვენ აზროვნებაში, როდესაც ვიმყოფებით წმინდა ეკლესიაში. ჩვენი გული და სული მიმართული უნდა იყოს ქრისტესკენ. ჩვენ უნდა ვგრძნობდეთ მოწიწებას, იმის მსგავსს მოსემ რომ განიცადა ცეცხლმოდებულ ბუჩქში, როდესაც ღმერთის ხმა გაიგონა, რომელმაც უთხრა: ,,ადგილი, სადაც შენ დგახარ, წმინდა მიწაა" (გამოსვლა 3:5). ამის შემდეგ მოსემ ვერ გაბედა

ზევით ახედვა, ,, ...რადგან ღვთის ხილვისა შეეშინდა" (გამოსვლა 3:6). ეკლესიაში შესაბამისად უნდა მოვიქცეთ არ უნდა ვილაპარაკოთ ერთმანეთთან, არ ვიხმაუროთ ჩვენ მოწიწებით ქედს ვიხრით წმინდა ხატების წინაშე და თაყვანს ვცემთ იმათ ვინც მათზე გამოსახული. ღრმა რწმენით ვანთებთ სანთლებს როდესაც ეკლესიაში ვიმყოფებით, ვცდილობთ მობილიზებული ვიყოთ გულით და გონებით იმაზე, რაც ხდება საღვთო ლიტურგიაზე ან სხვა ნებისმიერ მსახურებაზე (არ მივცეთ თავს უფლება ვიყოთ გონება გაფანტულება). თუ ჩვენ ვიმყოფებით სახელმწიფო მმართველთან სტუმრად მის რეზიდენციაში, განა შეიძლება ვილაპარაკოთ ერთმანეთთან, როდესაც ის ჩვენ წინაა? თუ ეს შეუძლებელია, მაშინ ის მით უმეტეს შეუძლებელია ღვთის სახლის კედლებში.

ქერუბიმთა გალობაში საღვთო ლიტურგიის დროს ჩვენ გვესმის ,,რომელნი ქერუბიმთა საიდუმლოდ ვემსგავსენით (ჩვენ, ფარულად ვბაძავთ ქერუბიმებს)". როგორ დგანან ანგელოზები ღვთის საკურთხევლის წინ? წინასწარმეტყველი ისაია (6:2-3) გვამცნობს ჩვენ, რომ ისინი იფარავენ თავიანთ სახეს მოწიწებით ღვთის წინაშე თუ ანგელოზები ასე მოქმედებენ, მაშინ რა რიგ დიდი უნდა იყოს ჩვენი მორჩილება, როდესაც უფლის ტაძარში ვდგევართ!

დაე მოგვმადლოს უფალმა თავისი საღვთო შიში და ღირსნი გაგვხადოს ყოველთვის მისი თაყვანისცემისა მხურვალე რწმენით, წმინდა თაყვანისცემით და თბილი სიყვარულით, რათა უფალმა კეთილგანწყობით მიიღოს ჩვენი თაყვანისცემა.

ამინ.